სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ზუგდიდი

1993
ხუთშაბათი
25
თებერვალი
№ 8 (1159)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

„პოლიციას საზოგადოების თანადგომა სჭირდება“

პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ორომტრიალმა ვის ვის და პოლიციას კი ნამდვილად ათასგვარი თავსატეხი გაუჩინა. მითუმეტეს რომ ჩვენი ქალაქი დღემდე რჩება იმ „ცხელ წერტილად“, რომელსაც ოთხმოცდაათიანი წლების „ქართული ზნეობანი თუ უზნეობანი“ სჭირს სხვა მრავალ ქართულ ქალაქთა მსგავსად. ამდენად შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს თორნიკე ქირიას, რომელიც თუმცა თვლის რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევია მისთვის კორესპონდენტთან საუბარი და ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგომა, მაინც აქვს სათქმელი.

—უკვე ერთი თვეა შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობას შეუდექით... უფრო სწორად ამ თანამდებობაზე დაბრუნდით.

—დიახ... ორჯერ მომიხდა ამ თანამდებობის დატოვება. 1992 წელი საშინელი ქაოსის წელი იყო. ბევრი რამ სწორად ვერ გამიგეს. ერთი პირობა „ერის მოღალატის“ იარლიყიც მომაკერეს. ნებსით თუ უნებლიეთ გული მატკინეს... ერთხელ ჩემი სურვილით წავედი პოლიციიდან. მეორეჯერ გამანთავისუფლეს. ეს ძალიან არას ასიამოვნო მომენტებია. ამჯერად, ჩემი დაბრუნება იმ რწმენის გამო პირობა, რომ ზუგდიდს ზუგდიდელმა უნდა უპატრონოს. განზე ვადგომის უფლება არ გვაქვს... თითოეულმა ჩვენთაგანმა ჩვენი წილი ტვირთი უნდა ვზიდოთ მის საკეთილდღეოდ. კი, ბატონო დიდი რისკია, ეგების უფრო ადვილად მომეხერხებინა კომერციული საქმეების წარმოება, მაგრამ... მე მაინც ვთვლი, რომ ჩემი ადგილი აქ არის. აქ შემიძლია საჭირო საქმის კეთება.

—ვიდრე ჩვენი საუბრის დღეს დავნიშნავდით, არაერთგზის მომიწია თქვენთან შემოვლამ. მითხრეს: იშვიათად ნახავთო სამუშაო ოთახში. ერთხელ ისე შეგასწარით თვალი, ავტომატით ხელში სადღაც გარბოდით. სამმართველოს უფროსი თვითონ მონაწილეობს ოპერატიულ ოპერაციებში?

—სხვანაირად წარმოუდგენელია. მე მუშაობის ჩემი სტილი და პრინციპი მაქვს. რთულ ოპერაციებში ჩემს თანამშრომლებს წინ მე მიუძღვები. ეს ერთგვარი სტიმულია მათთვის, როცა პირველი კაცი უკან არ იხევს, არც ისინი დაისვენებენ უკან. გასული წლის 9 მარტის ინციდენტის შემდეგ ზუგდიდის პოლიცია ერთგვარად პარალიზებული იყო. უკვე ნელ-ნელა ძალას იკრებს, ფეხზე დგება. მჯერა ჩემი კოლექტივის, მთლიანად ქალაქის სამართალდამცავი ორგანოების. ისინი ყველაფერს გააკეთებენ წესრიგის დასამყარებლად. რაც შეეხება სამუშაო ოთახში ჯდომას, ჯერ ასეთი ნებივრობისთვის არ მცალია...

—ერთი თვე დიდი საქმის გასაკეთებლად არც ბევრია და არც ცოტა. მაინც რა შესამჩნევი ძვრები მოხდა თქვენი დაბრუნების შემდეგ პოლიციაში?

—ჯერჯერობით საკვეხნი არაფერი გვაქვს. მაგრამ არც გულხელდაკრეფილები ვზივართ. შესამჩნევი წესრიგია ტრასებზე. გზები გათავისუფლებულია იმ შეიარაღებული პირებისაგან, რომლებიც ძარცვავდნენ მგზავრებს. პოლიციის პიკეტები დგას ცაცხვთან, ონარიასთან. შედარებით უშიშრად მოძრაობს ხალხი.

იანვრის თვეში პოლიციას რეგისტრირებული აქვს 32 დანაშაული. კრიმინოგენური სიტუაცია, რა თქმა უნდა, უფრო მეტ დანაშაულებრივ ქმედებებს მოიცავს, მაგრამ ბევრი მოქალაქე არც აცხადებს ამას პოლიციაში. ალბათ არ სჯერათ ჩვენი და არცაა გასაკვირი. რეგისტრირებული დანაშაულებიდან 14 საქმე უკვე გახსნილია. აყვანილია 16 პიროვნება. სათითაოდ ჩვენი ერთთვიანი ნაღვაწის ჩამოთვლა შეიძლება ვინმემ კეკლუცობად ჩაგვითვალოს... გახსნილია ფაიფურის ქარხნის სეიფიდან ოქროს ხსნარის გატაცების საქმეც... სხვათაშორის, ეს იყო ქურდობის კლასიკური ნიმუში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზუგდიდის სინამდვილეში, არადა ბოროტმოქმედებმა შეძლეს ათეულობით ქილა ოქროს ხსნარის გატაცება, მომხდარი ექვსი მკვლელობიდან გახსნილია ერთი. მიკვლეულია მთელი რიგი დანაშაულობების ჩამდენი პიროვნებები.. საზოგადოებამ იცის, ალბათ, უკვე აყვანილია რვა კაცი ცნობილი ნაროუშვილის ჯგუფიდან. მერწმუნეთ ერთ თვეში ზუგდიდელები აშკარად იგრძნობენ პოლიციის საქმიანობის შედეგს. უახლოეს ხანებში შინაგან საქმეთა სამმართველოს სტრუქტურებშიც ვაპირებთ მთელი რიგი ცვლილებების შეტანას, სამმართველოსთან შეიქმნება ახალი დამოუკიდებელი განყოფილებები, ქვეგანყოფილებები. რაც უფრო გაძლიერებს ქალაქის სამართალდამცავი ორგანოების წარმატებულ საქმიანობას.

—როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, შინაგან საქმეთა სამმართველოსთან, ქალაქში სტაბილიზაციის მისაღწევად, თანამშრომლობს პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ფორმირებათა ერთი ნაწილი...

—დიახ, ეს არის დაახლოებით ოცდაათკაციანი ჯგუფი. ისინი ჩვენთან ერთად ატარებენ რეიდებს, მონაწილეობას ღებულობენ ოპერატიულ ოპერაციებში. ჯგუფი დაინტერესებულია რაც შეიძლება სწრაფად დამყარდეს ქალაქში წესრიგი, აღიკვეთოს ძარცვის, ქურდობის, ყაჩაღობის ფაქტები, რადგან ძალიან ბევრ შემთხვევაში „ზვიადისტის“ სახელით სპეკულაციას თვით დამნაშავეთა სამყარო ეწევა.

—ქალაქში აშკარად შეინიშნება იარაღიანთა სიჭარბე. შეიძლება უხეში ნათქვამია, მაგრამ ხორცის რიგშიც კი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწკეპილი „ავტომატიანი“ დგას. რაც აშკარად იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას.

—გეთანხმებით. ქუჩაში არ უნდა დადიოდეს შეიარაღებული პირი პოლიციელის გარდა. ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენი დღევანდელი საქმიანობის უმთავრესი ამოცანაა. აქ არ არის საუბარი. იარაღის ამოღებაზე. უბრალოდ, რიგითი მოქალაქეები არ უნდა გამოჩნდნენ საზოგადოებაში იარაღასხმულნი. ამას ათასი გაუგებრობა და მსხვერპლი შეიძლება მოყვეს. ამ საქმეში სერიოზული დახმარება ქალაქში დისლოცირებულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმაც უნდა გაგვიწიონ.

—ქალაქში სისტემატურად ტარდება კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები, სხვადასხვა აქციები. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რა დამოკიდებულებაში იმყოფებით ამ ხალხთან. მითუმეტეს რომ ხშირად ქალაქში უწესრიგობას ზემოთნახსენები მომენტებით ხსნიან...

—ჩემი აზრით თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება გამოხატოს თავისი პოზიცია, პოლიტიკური შეხედულება. დარწმუნებული ვარ ჩვენი თანამშრომლები უხეშად არასდროს არ ჩაერევიან ასეთ აქციებში. რაც შეეხება ასეთი ღონისძიებების დროს მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვას, პოლიციელები კი არიან იქ, მაგრამ ძირითადად თავად მიტინგის ორგანიზატორები უზრუნველყოფენ წესრიგს. რაც შეეხება სამმართველოს პოზიციას დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში, ყველამ უნდა იცოდეს, პოლიცია დეპოლიტიზირებული უჯრედია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა უშიშროების დაცვაა.

—რას ითხოვს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ზუგდიდელი მოქალაქეებისაგან, ამჯერად კი ჩვენი მკითხველისაგან?

—თანადგომას, პოლიციელის პროფესიისადმი პატივისცემას. საზოგადოებრივი აზრი უნდა მოიმართოს იქითკენ, რომ ერთობლივი ძალით შეეძლებთ ქალაქში სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენას. სხვათაშორის ერთ-ერთი სოფლის თავყრილობაზე თანასოფლელებმა ერთმანეთს პირში უთხრეს სათქმელი, ავიც და კარგიც და გარკვეული დახმარებაც გაუწიეს სამართალდამცავ ორგანოებს რამდენიმე ბუნდოვანი საქმის გახსნაში. თუ საზოგადოების თანადგომა იქნება, პოლიციაც შეძლებს მათ საკეთილდღეოდ თავისი სიყვის თქმას.

ესაუბრა **ნ. მოსიძე**

ამასწინათ ტელემაყურებელთა წინაშე გამოვიდა სოხუმელი პროფესორი ვალერიან ქარჩავა. მან საკმაოდ თვითდაჯერებული, კატეგორიული ტონით მიმოიხილა ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი კონფლიქტის ცალკეული ასპექტები. ჩვენს წინაშე წარსდგა ტიპიური საბჭოური ყაიდის მეცნიერი, ძველ თარგზე გამოჭრილი იდეოლოგიური დოქტრინებით.

მოგვიტევოს მხცოვანმა და დიდად გამოცდილმა პროფესორმა, მაგრამ თუ კადნიერებაში არ ჩამოგვართმევს, მის მიერ გაკეთებული შეფასებები და აქცენტები რიგ საჭირბოროტო პრობლემებზე მოკლებული იყო რეალობას: ნაცვლად იმისა, რომ ღრმად და ობიექტურად გაეშუქებინა მიმდინარე მოვლენების გამომწვევი ნამდვილი მიზეზები, წარმოეჩინა ვერაგული პოლიტიკური სვლებით

შენაერთების აქტიური ჩაბმა აფხაზეთის საომარ კონფლიქტში. და ეს ისეთი კატეგორიული ტონით იქნა გაცხადებული, თითქოს დღემდე არც გაეგოთოს აღნიშნული შეეებულების სპეციფიკურ, განსხვავებულ ხასიათში?

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კანონიერი ხელისუფლების მომხრე პარტიზანული შენაერთებ-

ტელემაყურებელსაც, რომ დღევანდელ ფაქტობრივ ხელისუფლებას აღარ ძალუძს აფხაზური კონფლიქტის მოგვარება და კარგს იზამს, თუ ამ პრობლემის გადაჭრას სხვა, ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებს დაუთმობს.

აი, რამდენი რამის სათქმელად „შეგვაგულიანა“ ერთმა ტენდენციურმა სატელევიზიო გადაცემამ. იგი თურმე საახალწლოდ მოუმზადებიათ ჩვენს „მოხერხებულ“ ტელეჟურნალისტებს, მაგრამ ჩვენება რატომღაც ახლა ამჯობინეს. აფერუმ, მათ „სუპერ პროფესიონალიზმს“, კონიუნქტურული ყნოსვა თუ ისე აქვთ გამახვილებული, რომ მოსალოდნელ პოლიტიკურ ბატალიებს ორი თვით ადრე აფიქსირებენ ხოლმე.

ა. გაბუნია.

რეზონანსი

პოლიტიკური ყნოსვაც ამას ჰქვია

წარმოქმნილი უმძიმესი, თითქმის უპრეცედენტო სიტუაციის პერიპეტიები და მიენიშნებინა მისი დარეგულირების მექანიზმები, გამომსვლელმა მიმართა ძველებური, კომუნისტებისათვის ჩვეული ტერმინოლოგიით მანიპულირებას და მოვლენათა ჭეშმარიტი არსის ერთგვარად მიჩქმალვას

პროფესორმა მოითხოვა პრეზიდენტის მომხრე პარტიზანული ნაერთების მიერ პრინციპულად დაკავებული ნეიტრალური პოზიციის თაობაზე. ნუთუ მისთვის ესოდენ სადაო და მიუღებელია ის რეალობა, რომ ეს ომი პროვოცირებულია და თავის თავში იტევს არაერთ მუხანათურ ჩანაფიქრს? ანდა, ნუთუ ისეთი მიამიტი ვინმეა, რომ დღემდე ვერ გარკვეულა სამეგრელოს რეგიონის აფხაზური პრობლემისადმი დამოკიდები ჯერჯერობით ამოწურულად არ თვლიან ამ ბინძური ომის პოლიტიკური მეთოდებით შეწყვეტის შესაძლებლობებს. მათი მცდელობა ამ მიმართულებით არაერთგზის უგულვებელყოფილ იქნა უკანონო მთავრობის მიერ. პატივცემულ გამომსვლელს შინაგანი ალღო და ობიექტურობის გრძნობა რომ არ ღალატობდეს, გულწრფელად უნდა უტყდებოდეს თავის თავს და

ინტერვიუ

როგორც ეს ჩვენმა მკითხველმა იცის, პოეტი და მთარგმნელი რენე კალანდია კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში. ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

—ბატონო, რენე! უპირველესად მინდა მოგილოცოთ ეს დიდი ნდობა.

—გმადლობთ...

—კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაფუძნდა. საინტერესოა, ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია რამდენ წევრს ითვლის.

—ჩვენი საუბრის მომენტისათვის დაახლოებით ორას კაცამდეა გაწევრიანებული: დარწმუნებული ვარ, უახლოეს დროში მეტი მსურველი გამოჩნდება:

—ბატონო, რენე! საზოგადოება საყოველთაო მასობრივი გახდება, თუ..: მასში გაწევრიანების განმსაზღვრელი განსაკუთრებული კრიტერიუმი იარსებებს. მე ვიცი, საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე ამ საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

—განსაკუთრებული კრიტერიუმის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ასეთივე აზრისაა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი სოსო სიგუაკ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: სჯობს ჩვენთან შემოვიდეს ნებისმიერი მსურველი — პატიოსანი, ეროვნული შეგნებით შემართული ჩვეულებრივი მკითხველი, ვიდრე ის უპატიოსნო, უაღრესად განათლებული, არავითარი ეროვნული პოზიციის მქონე ინტელიგენტი, რომელთა სიჭარბე აშკარად გვიჩვენა დღევანდელმა სინამდვილემ. ქართველი ერის დაყოფამ „ელიტად“, „მასად“ და ხშირად „ბრბოდაც“, ხელოვნთ სანამდეც მოგვიყვანა. აი, თუნდაც მე. არ ვარ, ბატონო, ელიტარული საზოგადოების წარმომადგენელი. რა, არ მაქვს უფლება ვიყო ამ საზოგადოების ღირსეული წევრი?

—რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოსალოდნელია მთელი რიგი ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, ამბობენ, თითქოს შეიცვლებაო მისი სტატუსიც. ეს ალბათ, გარკვეულწილად გავლენას მოახდენს ადამიანებზე—გაწევრიანდნენ თუ თავი შეიკავონ მანამ, სანამ ყველაფერი საბოლოოდ არ დაიხვეწება.

ამ დღეებში, თქვენ იცით ალბათ, გაზეთმა „საქართველოს სამრეკლო“ დაბეჭდა ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვა მთელი რიგი საზოგადოებებისა და პარტიებისადმი, სადაც მოუწოდებს მათ, გაერთიანდნენ „მრგვალ მაგიდაში“. მათ შორისაა მოხსენიებული კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებაც. რა გზას დავადგებით ამას, ალბათ, გაზაფხულზე, საზოგადოების კონფერენცია გადაწყვეტს. თუ საზოგადოება პოლიტიკური გახდება, რა თქმა უნდა, მოხდება ცვლილებები წესდებაშიც. მაგრამ, ვფიქრობ, ამ გარემოებამ (დღეისათვის) საზოგადოებაში გაწევრიანების მსურველებს ხელი არ უნდა შეუშალოს. პიროვნებებს, მიუხედავად იმისა, ეს ორგანიზაციისათვის შეიძლება არასასიამოვნო იყოს, ყოველთვის აქვთ უფლება მოიქცნენ ისე, როგორც მათ საკუთარი სინდისი უკარნახებთ, და თუ ჩვენი საზოგადოების წესდებაში შეტანილი ცვლილებები არ შეესაბამება მათ პრინციპებს, დატოვონ ის.

—ერთი არაკორექტული შეკითხვაც... თქვენმა არჩევამ ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ ბევრი გააოცა. ალბათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თქვენ, ბევრისთვის მხოლოდ სოხუმელი ლტოლვილი პოეტი ბრძანდებით და არა ნაღდი ზუგდიდელი...

—გულახდილად გითხრათ, ველოდი, რომ ამაზე მომიწევდა საუბარი. მე ამ ქალაქში დავიბადე... სკოლა აქ დავამთავრე. ჩემი მამა-პაპისეული კერაც აქ არის. აქაა ჩემი ფესვები. სწორედ ზუგდიდელმა ინტელიგენტებმა: ისაკ ქორთუამ, შალვა შენგელმა, ალექსანდრე ეგუტიამ, ალექსანდრე თირქიამ გამატანეს თავიანთი სითბო ცხოვრების რთულ გზაზე. სხვათაშორის არაერთგზის დავბეჭდილვარ თქვენს გაზეთშიც. მართალია, ოცდათორმეტი წელი მომიწია სოხუმში ცხოვრებამ, მაგრამ მერწმუნეთ, წუთით არ გამიწყვეტია ჩემს ქალაქთან ურთიერთობა. არც ბალტიისპირეთში, ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებისას, დამვიწყებია იგი. ისე, ერთ საიდუმლოს გაგანდობთ. მე მალე იმ მრგვალ თარიღს ვუახლოვდები, რომლის შემდეგ მწერალი თავის მშობლიურ ფესვებს უბრუნდება, მე ერთი წლით მხოლოდ ადრე დავბრუნდი. ცნობილი მიზეზების გამო. აწი, არსად არა ვარ წამსვლელი. ერთი სიტყვით, მეც ნაღდი ზუგდიდელი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ზუგდიდს კონსტანტინე გამსახურდიას ისეთი ორგანიზაცია ჰქონდეს, როგორც ეს ბატონ კონსტანტინეს და ზუგდიდელებს ეკადრებათ.

—დასასრულ, თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით ორგანიზაციის უახლოესი გეგმების შესახებ...

მოდით, ამჯერად თავი შევიკავოთ მომავალ გეგმებზე საუბრისაგან. ბევრ რამეს, ალბათ, საზოგადოების სტატუსიც განაპირობებს. თუ ის პოლიტიკური გახდა, მოგეხსენებათ, მე პოლიტიკოსი არ გახლავართ და ჩვენთან სამუშაოდ მოვიწვევთ პროფესიონალ პოლიტიკოსებს, დისიდენტებს, გამოცდილებას გავიზიარებენ, დაგეხმარებიან.

—გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ...

—გმადლობთ.

ესაუბრა ნ. მოსიძე

„აქ ჩემი ფესვებია“

თვალსაზრისი

დიდი შეთქმულება! ანუ იყიდება საქართველო

თენგიზ კიტოვანის, ედუარდ შევარდნაძის, ირაკლი ბათიაშვილისა და ჯაბა იოსელიანის მიერ კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ვკითხულობთ: ედუარდ შევარდნაძე: „მე წინააღმდეგი ვიყავი სოხუმში შესვლისა, რადგან ამას სოხუმის დარბევა მოჰყვებოდა. მინდოდა ჩვენი შენაერთები სოხუმის გვერდის ავლით წასულიყვნენ გაგრისაკენ“. თენგიზ კიტოვანი: „გაგრის ტრაგედია მოსალოდნელი იყო“. ჯაბა იოსელიანი: „ეს ომი ჩვენ არ დაგვიწყია, იგი თავს მოგვახვიეს“. ირაკლი ბათიაშვილი: „ინფორმაცია გაგრის ოპერაციის შესახებ არსებობდა“. ერთგან თენგიზ კიტოვანი ასეთ რამეს ჰყვება: „ეს იყო გაწვრთნილი, რუსული ჯარის ნაწილები, რომლებიც ნაღმმტყორცნებიდან ნაღმებს ჩვენს ტანკებს პირდაპირ ლულაში აჭენდნენ. რომლებსაც უკან მოჰყვებოდნენ კონფედერაციის, სომხებისა და აფხაზების შენაერთები“. მოკლედ გაგრის ტრაგედიის შემთხვევაში ავანგარდად მოხსენიებულია რუსული საჯარისო ნაწილები.

იბადება კითხვა: თუ კი სადაზვერვო სამსახური ინფორმირებული იყო, რომ კონფედერაციის ნაწილებს ავანგარდში მოუძღოდა პროფესიონალური რუსული საჯარისო ნაწილები (გამოდის, რომ ზემოთდასახელებულმა პირებმა ამ ის შესახებ დაწვრილებით იცოდნენ) მაშინ სახელმწიფოს მეთაურს რატომ გაუჩნდა სურვილი ქართული ჯარის ნაწილები სოხუმის გვერდის ავლით წასულიყვნენ გაგრისაკენ?. ამ შემთხვევაში ხომ შეიძლება დავუშვათ არც თუ ისე უსაფუძვლო მოსაზრება, რომ იყო დიდი შეთქმულება, რომლის მიზანი ამართლებდა საშუალებას— ქართული საჯარისო ფორმირებანი გაენადგურებინა პროფესიონალურ რუსული ჯარის ნაწილებს. შედეგი დაბრალდებოდა ჩეჩნებს (ამისათვის წინაპირობა არსებობდა. დეზინფორმაციის ყველა საშუალებებით ხდებოდა საზოგადოების დამუშავება). ამით შეთქმულები სამ კურდღელს დიჭერდნენ ერთდროულად: 1. საქართველოს პრეზიდენტის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში. 2. ამიერკავკასიის და კერძოდ, ჩეჩნეთისა და საქართველოს სამკვდროსაციოცხლო გადაკიდება. 3. ელცინ—შევარდნაძის (დაგომისისა და მოსკოვის) მოლაპარაკებები, რომელთა ძირეული საკვანძო საკითხები ჯერ კიდევ უცნობია ქართველი ხალხისათვის, კულისებს მიღმა დარჩებოდა საიმედოდ შენიღბულად.

თუ ყოველივე ზემოთქმული სიმართლეა, მაშინ იბადება კითხვა: რატომ არ წავიდნენ მაშინ სოხუმის გვერდის ავლით გაგრის მიმართულებით ქართული საჯარისო ნაწილები? უნდა ვივარაუდოთ, რომ ოპერაციის დაწყების ბოლო მომენტში შეთქმულებმა გადაიფიქრეს წინასწარ დაგეგმილი გეგმის განხორციელება. რადგან, როგორც აღვნიშნე, ამას მოჰყვებოდა ქართული ფორმირებების სრული ერთდროული განადგურება, რის შედეგად საბოლოოდ ნიღაბი აეხდებოდა ჩეჩნებად მონათლულ რუსული ჯარის აგრესიას და მსოფლიოს საზოგადოება დემოკრატად მონათლულ ელცინზე იყვირებდა „მეფე შიშველია“! ამიტომ შეთქმულებმა უფრო „გონივრული“ მოქმედება აირჩიეს. გეგმაზომიერი, თანმიმდევრული, შენიღბული მოქმედება, რომლის მიზანია პირველ ეტაპზე მდინარე გუმისთამდე აფხაზეთის ტერიტორიის ქართველებისაგან გაწმენდა. სწორედ ამიტომ, მოსკოვის მითითებით სოხუმში შეაჩერეს ძირითადი ქართული ნაწილები. ხოლო გია ყარყარაშვილზე დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებანი აგრესორებს შეატოვეს განტევების ვაცივით. ეს რა თქმა უნდა, ბოლო გეგმაში შედიოდა ისევე, როგორც გაგრის ქართული მოსახლეობის სრული გენოციდი. მაშინ კი იყვირა ყარყარაშვილმა „უდვთოდ გაგვყიდესო“. დიახ! მაშინ იყვირა ყარყარაშვილმა „ჩეჩნები, კი არა რუსები გვებრძვიან“—ო და... „შუბი ხალთაში არ დაიმალა“. ამას მოჰყვა ის, რომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და „გენერალიტეტი“ იძულებული გახდა, ეღიარებინა რუსეთის არმიის საბრძოლო მოქმედებანი. ამით დასრულდა პირველი ეტაპი ორმხრივი შეთქმულების გეგმისა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. ე. წ. „თავსმოხვეული“ ბრძოლა და შევიდა იგი სხვა ფაზაში.

მეორე ეტაპი ამ შეთქმულებისა ითვალისწინებს, რომ არ იქნება დაშვებული აგრესორთა მხრიდან გენერალური შეტევა მთელი ფრონტით, არამედ ეს ომი უნდა იყოს პარტიზანულისმაგვარი, თანაც პოზიციური და ამასთან ერთად მომქანცველი. ამას ორი მომგებიანი ვარიანტი აქვს რუსეთისათვის და რუსეთის ემისრებისათვის საქართველოში. 1. რუსეთი საქართველოს იმ რაოდენობის იარაღს მიჰყიდის, რამდენიც ქართულ ფორმირებებს ეყოფა თავდაცვისათვის და არა შეტევის უზრუნველსაყოფად მთელ ფრონტზე. და თუ კი ქართული მხარე მაინც შეძლებს ამა თუ იმ უბანზე უპირატესობის მიღწევას, აფხაზური მხარეს სასწრაფოდ აღუდგენს წონასწორობის მიღწევას, აფხაზურ მხარეს სასწრაფოდ აღუდგენს წონასწორობას იმპერია. საბოლოოდ დაიღვრება ქართული სისხლი. გაიყიდება მოძველებული რუსული იარაღი. 2. ომობანას ეს თამაში ისედაც დანგრეულ ეკონომიკას საბოლოოდ გაჩანაგებს. საქართველო იძულებული გახდება რუსეთიდან მიიღოს კრედიტები, ვინაიდან საქართველო სამანეთი ზონაში რჩება. ამით რუსეთი დაკაბალებს საქართველოს. დამცირებული, სისხლისგან დაცლილი, ეკონომიკურად მკვდარი საქართველო „რუსეთის ფეხქვეშ დაიჩოქებს“ და ახდება ორჯონიკიძეთა ნაშიერების ოცნება. ყოველივე ამას ფრთებს ასხამს აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი.

ყოველივე ზემოთქმულის ფინალი ამდაგვარად რომ არ დაგვირგვინდეს, აუცილებელია და გადაუდებელი, რაც შეიძლება სასწრაფოდ გადადგეს არაკონსტიტუციური გზით სახელმწიფო მმართველობაში მოსული მთავრობად წოდებული ხუნტა, რომელმაც შიდა სახელმწიფოებრივი თუ საგარეო პოლიტიკური კრახი განიცადა. უნდა აღსდგეს კანონიერება საქართველოში და საქართველოს უნდა დაუბრუნდეს კანონიერი ხელისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს— სახელმწიფოებრივი კატასტროფა ელის.

ველოდ ფაცაცია.

ასეთი მეჯამორფოზა ჰაერივით გვჭირდება

ჩვენ ზოგჯერ გვიკვირს, საიდან ჰქონდაო ეგზომ მაღალი ავტორიტეტი ქრისტიანულ რელიგიას, სულიერ მამებს ხალხში? ჰქონდათ იმიტომ, რომ ჰყავდათ წმინდანები. ერისთვის თავგადადებული პიროვნებები. ასეთი შეუბღალავი ზნეობის უმწიკლო ადამიანები სჭირდება დღეს არა მარტო ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, არ ამედ სკოლებს, კოლეჯებს, უნივერსიტეტებს. სწორედ მათ უნდა აამაღლონ ახალგაზრდობაში ეროვნული თვითშეგნება, ჭეშმარიტების სიყვარული, მაღალი ზნეობა. და ეს უნდა შეძლონ ღრმა ერუდიციით, არგუმენტების სიუხვით, დარწმუნების ძალით.

მოქალაქეთა ცნობიერებაში დღეს მტკივნეული ძვრებია. ხდება ცნებების, ფასეულობების გადასინჯვა. ბევრს ეს უჭირს, ზოგი შედარებით იოლ ფორმებში ახერხებს. ამ მოვლენებს თავის დაღს ასვამს ინფორმაციის სიმრავლე და განსხვავებული კომენტარები. ცნობების ამ ნიაღვარში მართლაც უჭირს ადამიანს გარკვევა, თუ სად არის ობიექტური სიმართლე და სად კიდევ კონიუნქტურული თვალთმაქცობა. სწორედ ასეთ დროს უნდა მიეშველოს თვისტომს გონიერი, ობიექტური, აღღოიანი ლექტორი თუ მასწავლებელი. იგი უნდა გახდეს ნამდვილი სულიერი მოძღვარი, ზნეობრივი მაგალითი აუდიტორიისათვის. თუ ეს ვერ შევძელით, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ჩვენი გაუსაძლისი ყოფა უზნეობის ინერციის წნეხქვეშ.

ასეთი მეტამორფოზა ჰაერივით გვჭირდება და უნდა მოვახერხოთ კიდეც.

გ. მაჭაცარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგი მოგზაურის ცნობებიდან

ეს ჩვენი ისტორიაა

1672 წლის შემოდგომაზე პარიზიდან სპარსეთში საქართველოს გზით მიმავალი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ნავსადგურ ისგაურში ჩამოვიდა. ისგაური (უფრო სწორად ისკურია) კოდორის კონცხთან, მდინარე სკურჩას ზღვის შეერთების ადგილას მდებარეობდა.

შარდენი იმ დროს მოვიდა საქართველოში, როცა იგი ცალკე სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს მაშინ მდინარეების კოდორსა და რიონს შორის მდებარე ტერიტორია ეკავა.

ჟან შარდენი სავაჭრო-კომერციული მიზნებით მოგზაურობდა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მაგრამ როგორც დიდად განათლებულმა პიროვნებამ აღწერა ამ ქვეყნების ხალხთა ყოფა-ცხოვრება, დაინტერესდა მათი ისტორიული წარსულით, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით და სხვ. მისი თხზულებანი რამდენიმე წიგნს შეიცავს და ძვირფას მასალას. მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს განსაკუთრებით ისტორიის მკვლევართათვის.

შარდენის თხზულებათა 1811 წლის გამოცემის ათტომეულიდან ორი უმთავრესად საქართველოს შეეხება. ათივე ტომი თავისი საილუსტრაციო ატლასით ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშიცაა დაცული.

ჟან შარდენს თავის თხზულებაში შეტანილი აქვს იმ დროს საქართველოში მოღვაწე პატრი ძამპის რელაციებიც, მისგან გადმოცემული. გარდა მისა, გამოყენებული აქვს სხვა მოგზაურთა და მისიონერთა ცნობები, აგრეთვე ძველ ბერძენ და ლათინელ მწერალთა მონათხრობი საქართველოს შესახებ. თხზულებათა ძირითადი ნაწილი მის მიერ უშუალოდ ნანახი და განცდილიდან არის შედგენილი, რაც შარდენის ცნობებს უფრო საინტერესოდ ხდის, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომს ისტორიული თუ გეოგრაფიული ხასიათის ნაკლოვანებანიც გააჩნია. ზოგიერთ მოვლენასაც იგი თავისებურად ხსნის, მაგრამ ჩვენთვის ფაქტებია საინტერესო, რომელსაც მისი თხზულებანი უხვად შეიცავს.

შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა ცნობილი მწერლის ვასილ ბარნოვის მიერ, რომელიც გაზეთ „ივერიაში" იბეჭდებოდა 1885 წელს. ბარნოვის მოკლე თარგმანი 1935 წელს ცალკე წიგნად გამოსცა აკ. გაწერელიამ.

ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ უფრო სრულყოფილად ფრანგულიდან თარგმნა მისივე გ. მოკვლევებისა და კომენტარების დართვით ეზია მგალობლიშვილმა და გამოსცა 1975 წელს წიგნად, რომელიც 428 გვერდს შეიცავს.

შარდენს ისგაურიდან ზღვით (ჯერ ანაკლიაში ჩამოსვლით, შემდეგ ყულევსა, და ფოთში გავლით, ბოლოს გონიოში შეჩერებით) უმოგზაურია და ბოლოს ალიცეხას გზით აღმოსავლეთ საქართველოში გადასულა. საქმაო ჩანს დარჩენილა თბილისში, ყოფილა ქუთაისშიც დ. ა. შ.

წინამდებარე სტატიით ამჯერად ჩვენ მკითხველს მივაწვდით მის ზოგიერთ ცნობას სამეგრელოს შესახებ. სპეციალურად აღნიშნავს მშრომელი მოსახლეობის დუხჭირ ცხოვრებას, გამოწვეულს გარეშე დაშპყრობლების თარეშით, შიდაფეოდალური კონფლიქტებით და ფეოდალური ექსპლოატაციის აუტანელი პირობებით.

ანაკლიას შარდენი 1672 წლის 5 ოქტომბერს ეწვია. 14 ოქტომბერს ჯერ სამდინარო (ენგური) შემდეგ სახმელეთო (ოტობაია, ნაბაკევი) გზებით სამეგრელოში მყოფი კათოლიკე მისიონერთა რეზიდენციისაკენ — წიფურიასკენ გაემართა.

წიფურიაში ორი ეკლესია მდგარა. ერთი ადგილობრივი, მეორე თეათინელი (იტალიელი) ბერებისა. ყოფილა სხვა ნაგებობანიც. წიფურია ერთ-ერთი ცნობილი პუნქტი იყო მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოში, რომელიც მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა.

არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, თუ რა ადგილას უნდა ყოფილიყო ეს პუნქტი, რომელიც ამ სახელწოდებით დღეს არსად მოიხსენიება. ზოგი მას განმუხურ-ოტობაიას ტერიტორიაზე ვარაუდობდა, ზოგიც დიხაზურგაში და ა. შ.

ამ სტრიქონების ავტორიც შეეცადა წიფურიას ადგილმდებარეობის დადგენას. შარდენის ნაშრომების დედნების გამოყენებით (რუსული და ქართული თარგმანები სადისტანციო მონაცემებში შეცდომებს შეიცავდა), საილუსტრაციო ატლასისა და არქანჯელო ლამბერტის წიგნზე დართული რუკის საშუალებით და ადგილობრივი დათვალიერებით ჩვენ დავაზუსტეთ წიფურიას ადგილსამყოფელი. გაირკვა, რომ წიფურია მდებარეობდა გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე, რომლის შენობა-ნაგებობათა კვალი მდინარე ენგურის კალაპოტის ცვალებადობით თითქმის მოშლილა (დარჩენილა მცირე ნაკვალევი). ავტორის ეს დასკვნა მოხსენდა მეცნიერებათა აკადემიაში საქართველოს საისტორიო საზოგადოების სხდომას.

თუ რა გადახდა შარდენს წიფურიაში ყოფნისას ცალკე ვრცელ თხრობას მოითხოვს.

შარდენის მოგზაურობის ცნობებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი სამეგრელოში ლევან მეორე დადიანის მოღვაწეობის გადმოცემას. აღწერილია ოდიშის მოსახლეობის სამეურნეო-საწარმოთმოქმედო საქმიანობაც. სოფლის მეურნეობის კულტურათა შორის მაშინ უმთავრესი ყოფილა ღომის თესვა და მისი მოსავლის მოყვანა. მცირედ თესავდნენ ხორბალსა და ქერს, უფრო დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ფეტვი, ნაკლებად — ბრინჯი.

მისიონერი ლამბერტი (მე-17 საუკ. პირველი ნახევარი) ბრინჯის უფრო მეტ მოსავლიანობაზე მიუთითებს. აღნიშნავს, რომ მეგრელების ჩვეულებრივი საკვები ღომია, ხოლო ლობიოს შემდეგ „დიდ პატივცემაშია მხალი". (მიუთითებენ ხორცეულის უხვ ხმარებაზეც).

„მოგზაურობის" მასალებში არაფერია ნათქვამი სიმინდის შესახებ. როგორც ჩანს ეს კულტურა მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ბოლო პერიოდიდან უფრო გავრცელდა. სათანადო ადგილი ეთმობა საუბარს მეფენახეობაზე, მეხილეობასა და მებოსტნეობაზე. შარდენი ჭეშმარიტ ხელოვნებად ადგილობრივ ღვინოებს, წარმოჩენილია რეგიონის ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა.

ძამპისა და შარდენის ცნობებში უხვად არის წარმოდგენილი მოსახლეობის სარწმუნოებრივი ყოფის საკითხები. საინტერესო მასალებია ეკლესიებზე, ხატებზე და სხვ.

„მოგზაურობაში" კარგი დახასიათება ეძლევა მეგრელ კაცებსა და ქალებს და საერთოდ ქართველებზე ჟან შარდენი წერს: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი. ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ, ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია" (იხ. მ. მგალობლიშვილის თარგმანი „შარდენის მოგზაურობა" გვ. 297. 1975 წ.).

ჟან შარდენი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ქართველები არიან თავაზიანნი, კაცთმოყვარენი, დარბაისელნი და თავდაჭერილნი, მეგობრულად თანაცხოვრობენ სხვა ხალხებთან, რომლებიც მათ მიწა-წყალზე სახლობენ (იხ. იქვე, გვ. 297).

საინტერესო ის არის, რომ უცხოელი მოგზაური ხედავს და აფასებს ჭეშმარიტ ქართულ ხასიათს და საყოველთაოდ ცნობილ თავის თხზულებაში ჩაწერით ეს ჭეშმარიტება მსოფლიო არენაზე გამოაქვს.

მამანტი პაპაკორია,
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ლექტორი.

ერთი ტელეგადაცემის ეჭო

იცოდე, უსამშობლოდ კაცი არა ხარ...

ამ რამდენიმე დღის წინათ ვახილეთ სატელევიზიო სპექტაკლი, რომელსაც საფუძვლად უდევს მწერალ გ. დოჩანაშვილის მოთხრობა — „იმ ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ უნდა". გადაცემას დიდი ინტერესით შეხვდა ტელემაყურებელი. და ეს სავსებით გასაგებია: მასში წარმოჩენილია ერთ-ერთი უმტკივნეულესი თემა ჩვენი ყოფიერებისა — სამშობლოსადმი ქართველი კაცის მიმართების, მისი ზნეობრივი ვალდებულების ძიებისა.

„იცოდე, უსამშობლოდ კაცი არა ხარ" — ხშირად იმეორებს ამ ფრაზას ტელესპექტაკლის მთავარი გმირი შალვა. და ეს ზნეობრივი მაქსიმა ლეიტმოტივად გასდევს ნაწარმოებს. შალვა ერთი პატიოსანი, კეთილი, უპრეტენზიო კაცია, რომლისთვისაც სამშობლო ყველაზე წმიდა და ამაღლებული ცნებაა. ეს არის მშობლიურ ისტორიაზე, ადათ-წესებზე, წარსულის ძეგლებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. დადის წრფელი გულით, უზაკველი ფიქრებით ბუნებას თანშეზრდილი, მინდიასავით სულშეურყვნელი კაცი და ურბანიზაციის პროცესით გულგაუხეშებულ ობივატელებს მოუწოდებს: ნუ მოწყდებით მშობლიური სოფლის ჰუჰყგაურეველ წიაღს, დაინახეთ და შეიყვარეთ ადამიანში ღვთისგან ჩადებული მადლი სამშობლოს განცდისა.

ამ სიმპათიური, მაგრამ ოდნავ სასაცილო კაცის სრული ანტიპოდია გერასიმე — ქალაქელი ინტელიგენტი, რომელიც მეტწილად პრაგმატული ინტერესებით ცხოვრობს. მას მშვენივრად აქვს მოწყობილი პირადი კეთილდღეობა, მიწიერ სიამეთა მოხერხებულად მომნაგრებელიც გახლავთ, ასეთი მსოფლმხედველობის კაცი შორსაა სამყაროს რომანტიკული აღქმისაგან, მაგრამ ნაწარმოების ზნეობრივი დატვირთვა წუთითაც არ ტოვებს სწორხაზოვნების შთაბეჭდილებას. ავტორები თავზე არ გვახვევენ თავიანთ ფილოსოფიას. არც ჭკვას გვარიგებენ, ისინი ჩვენთან ერთად განსჯიან, ჩვენთან ერთად ტკივათ, ებრალებათ, რაღაცას გვისაბუთებენ, ზოგჯერ ცდებიან, ყოყმანობენ, მაგრამ იმედით შემოგვაქერიან, ჩვენგან ელიან დასტურს, თანხმობას იმ წარუვალი ზნეობრივი კატეგორიების შესახებ, რომელთა გადასარჩენად უნდა დაირაზმოს დღეს დიდი და პატარა, სოფელიც და ქალაქელიც, განათლებულიც და გაუნათლებელიც.

ეს საოცრად სადა, უპრეტენზიო გამომსახველობითი ხერხებით აკინძული ლიტერატურული ინსცენირება შინაგანი ლოგიკით მაღლდება შთამბეჭდავ განზოგადებამდე: ყველაზე მაღალი ღირებულება ისევ და ისევ სამშობლოა ჭეშმარიტი მოქალაქისათვის. ყველა თაობის საზრუნავ-საფიქრალში მამულის ხატი უნდა ენთოს პირველყოფილი სიწმინდით და ძალმოსილებით. მხოლოდ ამ გზით შეიმეცნებს ყოველი ჩვენგანი საკუთარი ერის ვინაობას, თავისთავადობას, ქართული სიტყვის ღერს, გემოს, მშობლიურ ჩუქურთმას, გუმბათს, ჭალას...

როგორ ეხმიანება ეს თემატიკა დღევანდელობას, ზოგიერთი ვაიქართველის სულიერი სიმწირის პრობლემას, რომელთა ცნობიერებაში სამშობლოს განცდა უკანა პლანზე იწევს და მთელი პიროვნული ენერგია ეწირება საეჭვო ფასეულობებზე ფიქრსა და ზრუნვას.

მრავლისმთქმელია ამ წარმოდგენის აზრობრივი სისავსე. მაგრამ მას გვირგვინს ადგამს მოხდენილად შერჩეული ტიპაჟები შესანიშნავი სამეულის: ეროსი მანჯგალაძის, გიორგი გეგეჭკორის და გიგოლა თალაკვაძის შესრულებით.

ზ. ცხოვნდია.

მეტი ყურადღება სასკოლო ცხოვრებას

მიზანშეწონილად მიგვაჩნია

ითვალისწინებდა რა ქალაქის სკოლებში მათემატიკის სწავლების დონის ამაღლების აუცილებლობას, ამ რამდენიმე წლის წინ განათლების განყოფილებამ რესპუბლიკის განათლების საკანონმდებლო ინსტიტუტის წინაშე დააყენა საკითხი 1993 წლისათვის ქალაქ ზუგდიდში გახსნილიყო ფიზიკა-მათემატიკის პროფილის სკოლა-ინტერნატი. იდეამ სასურველი მხარდაჭერა ჰპოვა, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზაცია ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ასეთი ტიპის სკოლა-ინტერნატი დიდ დახმარებას აღმოუჩენს სამეგრელოს რეგიონში შემავალი რაიონების მოსწავლე ახალგაზრდობას.

ამჟამად ქალაქსა და რაიონში ერთმანეთიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით ჩვეულებრივი ტიპის ოთხი ინტერნატია.

ქალაქის საშუალო სკოლა-ინტერნატი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. მთლიანად განადგურებულია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ დღეებში ხანძარმა მწყობრიდან გამოიყვანა ორსართულიანი სამეცადინო კორპუსი. სასწავლო პროცესს ნორმალურად წარმართვა შეუძლებელია. ვერ ხერხდება დღის მეორე ნახევრის ორგანიზაცია. დღითი-დღე კლებულობს მოსწავლეთა კონტინგენტი. სკოლა-ინტერნატი ვერ პასუხობს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით მას დიდი დახმარების აღმოჩენა სჭირდება როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ზემდგომი ორგანოებიდან.

აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გადაკეთება ზემოთ დასახელებული ტიპის სკოლა-ინტერნატად. საამისოდ მას ადგილმდებარეობაც უწყობს ხელს. ამ აზრს იზიარებს ქალაქის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა უმრავლესობა. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სიტყვას განათლების განყოფილებაც იტყვის.

მ. ხარჩილავა,
პენსიონერ-პედაგოგი.

ახალი ტარიფები

სიძვირის გზით მიდის...

ალბათ არ მოიძებნება ისეთი მოქალაქე, ან საწარმო-დაწესებულება, ორგანიზაცია თუ სტრუქტურული ერთეული, რომელსაც შეხების წერტილი არ ჰქონდეს კავშირგაბმულობის ამა თუ იმ დარგთან. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია განმარტება იმისა, თუ რა სახის და მოცულობის ახალი ტარიფებია შემოღებული კავშირგაბმულობის სისტემაში 1993 წლის 1 თებერვლიდან.

გვესაუბრება კავშირგაბმულობის ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. გოგბია:

—უწინარესად აღვნიშნავ გაძვირებას, რომელიც შეეხო კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ყველა სფეროს. მაგალითად: 1 თებერვლიდან ტელეფონის საბონენტო გადასახადი საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ერთ ძირითად აპარატზე გაუდა თვეში 1500 მანეთი, ანუ წელიწადში 18 ათასი მანეთი. ამასთან, ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინასწარ; ვთქვათ ასე: მარტის თვის საბონენტო გადასახადი თებერვალში უნდა იქნას შეტანილი. სასურველია საწარმო-დაწესებულებებმა გაითვალისწინონ თავიანთი ფინანსური შესაძლებლობანი საბონენტო გადასახადის გაძვირებასთან დაკავშირებით, განსაზღვრონ შეძლებენ თუ არა ამჟამად მათზე რიცხული სატელეფონო ნომრების შენარჩუნებას. რაც შეეხება კერძო აბონენტებისათვის თვიური გადასახადის ოდნობას — ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი.

დეპეშის ერთ სიტყვაში მოქალაქე იხდის 10 მანეთს, საწარმო-დაწესებულება კი 20 მანეთს. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ როგორც მოსახლეობისათვის, ისე საწარმო-დაწესებულებებისათვის დეპეშაში ერთი სიტყვის ღირებულება 30 მანეთია.

დალაპარაკება შეკვეთით, რესპუბლიკის შიგნით, მოსახლეობისათვის 1 წუთის ღირებულება 15 მანეთია, საწარმო-ორგანიზაციებისათვის — 30 მანეთი. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეკვეთით დალაპარაკებისას როგორც მოსახლეობისათვის, ისე საწარმო-დაწესებულებებისათვის 1 წუთის ღირებულება 50 მანეთია, ავტომატური კავშირების გამოყენებისას კი — 45 მანეთი.

ახალი ტარიფებით 1 ტელეფონის დადგმა ქალაქად 10 ათასი მანეთი ღირს, ხოლო სოფლად— 5 ათასი მანეთი. არის სხვა სიახლეებიც. რაზედაც აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. როგორც ჩანს, ჩვენი ცხოვრება ჯერ-ჯერობით სიძვირის გზით მიდის.

წერილი რედაქციას

ვის მივმართოთ?

ცხადია, რომ ამ ბოლო დროს ყველა და ყველაფერი ერთმანეთშია არეულ-აზელილი, მაგრამ სრულიად გაუგებარია, არის თუ არა ზუგდიდში ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც შეიძლება ხალხმა თავის გასაჭირზე მიმართოს?

შევხედოთ თუნდაც საბაზრო ფასების პრობლემას. რა ხდება? ფასები სასაოობით მატულობს, ბოლო უბადრუკი ხელფასები და პენსიები ადგილზეა გაყინული. სრულიად გაუგებარია, ამჟამად კილოგრამში რამდენი გრამია?! მე მგონი 1000 გრამი უნდა იყოს. თუ ასეა, რატომ ჰყიდიან ჩვენს მაღაზიებში 700-800 გრამიან პურს კილოგრამის ფასად? ასეთ „მყვირალა“ უმსგავსოებას კომუნისტებიც კი ვერ ბედავდნენ თავის დროზე.

ახლახან გამოჩნდა საქონლის გაყინული ხორცი, რომელიც საბაზრო და კომერციულ ვაჭრობას არ ემორჩილებოდა, მაგრამ კომბინატის ტერიტორიაზე გაიყიდა კილოგრამი 300-350 მანეთად. ეს დარღვევა, საინტერესოა მაინც, ვის უნდა შეემჩნია და აღეკვეთა?

ბალე მოვა ხვნა-თესვის უამი, მაგრამ ემზადება კი ვინმე საამისოდ? ხოლო თუკი სოფლის მეურნეობა კვლავ უყურადღებოდ დარჩა — შიმშილს ვერ ავიცდენთ.

დემოკრატია არ არის იქ, სადაც ხალხს არავინ არაფერს ეკითხება, ხალხის სატკივარი არავის არ აწუხებს.

Ш. ЗАНИА,
პენსიონერი.

რამდენიმე აბზაცით

„ამ ასაკში საეჭვოა“...

ირაკლი წერეთელი: „გარკვეული წრეების მიერ ედუარდ შევარდნაძის მიმართ ყალიბდება აზრი, რომ იგი არის რუსეთის მაღალი ეშალონების ემისარი საქართველოში და რუსეთის იმპერიის საკმაოდ მაღალი დონის აგენტი. თუ ეს ასეა, მაშინ ე. შევარდნაძის პოლიტიკას საქართველო მიჰყავს იქითკენ, რომ ის დარჩეს რუსეთის სტრატეგიულ სივრცეში, რუსეთის გავლენის ქვეშ. მაგრამ იარლიყების მიკერება სანამ არგუმენტები და ფაქტები არ მექნება, არ შემიძლია. შესაძლოა ე. შევარდნაძეს გულწრფელად სჯერა, რომ რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის გამო საქართველოსათვის ძალზე საზიანოა. არ გამრვრიცხავ, რომ მას ასე სჯერა, რადგან იგი მოხუცდა და შიში გაუჩნდა. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ადამიანის სულში ძირეული ცვლილებებისა ძალიან ნაკლებად მჯერა ისეთ ასაკში, კაცი რომ 45-50 წელიწადს მიაღწევს, არა მგონია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავისი მრწამსი და დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალოს“...

„იბერია სპეკტრი“

მხცოვანი დისიდენტის აზრით

...ის, რაც მოხდა თბილისში, განხორციელდა რუსეთის იმპერიულ ძალების მოქმედების შედეგად. ეს არ იყო სახალხო აჯანყება. ეს იყო ომი არსებული ხელისუფლებისა და ეროვნული ძალების წინააღმდეგ“...

ნაწყვეტი ნ. სამხარაძის ინტერვიუდან. გაზეთი „საქართველო“.

„როგორც გახსოვთ, 1992 წლის 18 დეკემბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია „გაიყიდა გამსახურდიას მერსედესი“. რამდენიმე დღის წინათ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა რ. ყიფიანმა ოფიციალურად გვაცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ამოღებული ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას საგანგებო სარგებლობის ავტომანქანა „მერსედესი“ 1992 წლის 15 მაისს გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მთავარ სამეურნეო სამმართველოს და აღნიშნული ავტომანქანის რეალიზაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას ჯერ-ჯერობით მონაცემები არ აქვს“.

„დრონი“

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ კვლავ იზიარებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმულ მოსაზრებას არმიაში ჰომოსექსუალთა სამსახურის აკრძალვის გაუქმების შესახებ. ზოგი სამხედრო ხელმძღვანელი თვლის, რომ ამ აკრძალვის გაუქმება ზიანს მიაყენებს წესრიგსა და დისციპლინას. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არმიიდან დაითხოვეს 17 ათასი ჰომოსექსუალი.

„დვრიტა“

კულტურის ქრონიკა

დაწესდა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ყოველწლიური პრემია 10000 მანეთის ოდენობით. თეატრალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

წელს აღნიშნული პრემია მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს, პროფესორ მიხეილ თუმანიშვილს, რომელიც მას ძველით ახალ წელს — 14 იანვარს გადაეცა.

14 იანვარს ქ. რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღინიშნა ქართული თეატრის დღე.

7 იანვარს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ახალ გალერეაში გაიხსნა ახალგაზრდა შემოქმედთა სახვითი ხელოვნების ნიმუშთა საშობაო გამოფენა.

„ახალგაზრდა ივერიელი“

ანეკდოტური ამბები

ყალმათია

პაჭუ ერქვა და მეტსახელად ყალმათიას ეძახდნენ, რაც ზარმაცისა და მუქთამჭამელა კაცის სინონიმია უთუოდ. შრომა და ოფლის მოდენა ჭირის დღეს-ვით ეზარებოდა. ჟაზაფხულ-შემოდგომაზე, როცა სოფელში სამუშაო და ხელსაქმე თავზე საყრელად იყო, ადგებოდა ეს ჩვენი პაჭუ და ცოლოურებში — კახეთს წავიდოდა მარტოკა.

ერთხელაც მთელი შემოდგომა ცოლოურებში გაუტარებია. როცა ოჯახი მონატრებია, სიმამრის ნაჩუქარი ვირი წამოუყვანია და წამოსულა შინისაკენ. სოფელში შებინდებისას შეჭოსულა, მაგრამ მეზობლის გოგობიჭებს უცვნიათ და მამამისისთვის უხარებიათ: ნახე, პაჭუ მოდისო.

—კი მაგრამ, მეორე ვინ არის, გვერდით რომ ახლავს? — უკითხავს გზისკენ ხელმოჩრდილვით მზირალ მოხუც ტაგუიას.

—ვირი მოჰყავს, ვირი!

—ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ერთ ვირს ველოდი და ორი მომადგა კარზეო, — ხელები აღუპყრია მოხუცს.

ნიკანდროს ტყავი

პარტრაიკომმა ერთ-ერთი მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაავალა სასწრაფოდ ამოერჩია ყველაზე მოწინავე კოლმეურნე სოფლის მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე გასაგზავნად. თავმჯდომარემ ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, არჩევანი ნიკანდრო თირქიაზე შეაჩერა. ნიკანდრომ ეს რომ გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: აბა რას ბრძანებთ, ნიფხავი არ მაცვია დაუკერავი და ამ სიცივეში შიშველ-ტიტველი ხომ არ წავალო რუსეთს.

—ეგ არაფერი, შე კაცო, აგერ ვარ მეო, — შიელაქუცა თავმჯდომარე, მერე მკლავი გამოხდო, „ვილისში“ ჩაისვა და შინ წაიყვანა. სახლში მისულმა თავმჯდომარემ მეუღლეს ახალთახალი ტყავის ქურთუკი გამოატანინა, ჩააცვეს ნიკანდროს, ახედ-დახედეს.

—იფ, იფ! პირდაპირ დაგხატა ამ ტყავმა, ჩემო ნიკანდრო, — შენიშნა თავმჯდომარემ.

—მაშ, კაცო!.. ისე ზედგამოჭრით ადგას ტანზე, თითქოს სულაც მისი იყოს, — კვერი დაუკრა ცოლმა.

—ხოხ, აბა რა იქნებოდა, ჩემი ტყავია და!.. — ჩაილაპარაკა ნიკანდრომ.

„პარავოზს“ აკოცა

ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს პირდაპირ აწიოკებული ჰყავდა ადგილობრივი ქართველი ებრაელობა, თუმცა ისიც საკითხავია, ინდობდა კი საერთოდ ვინმეს? მერე ის იყო, ეს პირშავი ფუნქციონერი დააწინაურეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

ამ ამბიდან მეორე თუ მესამე დღეა. ქუჩაში ერთმანეთს ხვდებიან ქუთათური ებრაელები შალიკია და იცხაკი.

—იცხაკ, დაგენაცვლე, რაა ეს, ცხვირ-პირი მაზუთით რომ გაქვს მოთხუპნული? — ეკითხება გაკვირვებული შალიკია მეგობარს.

—რაი და, მგელაძე თბილისში რომ წაიფსერა იმ „პარავოზს“ ვაკოცე ამ დილით, — იყო პასუხი.

შეკრიბა და ლიტერატურულად დაამუშავა ჯამგულ არქანიამ.

სარედაქციო კოლეგია

მეუღლე მერი, შვილი ქეთინო, შვილიშვილი სოფო, დეები გუგუშა, თათუშა, ციალა, ძმა კოკი, სიძეები ჯაბლეთი ქობალია, ფრიდონი არახამია, გურამი წულაია, ვალერიანე ქობალია, რძლები თათუშა ანთია, გული ფიფია, დარეჯან გაბელია, ცოლისდა ნათელა სოსელია, ძმისშვილები ირმა, ნუნუ, გიგლა, გოჩა, გოგია ჭითანავები, დისშვილები რუსიკო, თამრიკო, მერაბი, თემური ქობალიები, მზახლები ცინარა და რენცო ქობალიები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ამირან ისიდორეს ძე ჭითანავას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 26, 27 თებერვალს, გამოსვენება 28 თებერვალს 3 საათზე, მეუნარგიას ქ. №1-დან, დაკრძალვა სოფ. ჭკადუაში.

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

დავით იოსების ძე ყორდანიას

გარდაცვალებს, და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილი თინა, სიძე ჟორა შვილებით ხათუნა, მალხაზი, დათო შედანიები იუწყებიან

ვერა კიწიას ასულ ჯალაღონიას

გარდაცვალებას.

ᲖᲣᲓᲘᲓᲘ 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 600, შეკ. № 143